

სიმბოლური სათაურის ცნება მხატვრულ ტექსტში

თამარ მარდალეიშვილი, მაია გაბადაძე

ქუთაისის უნივერსიტეტი

tamar.mardaleishvili@unik.edu.ge; maia.gabadadze@unik.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2022.797>

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში სრულიად შეიცვალა ავტორების დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოებების მიმართ – ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა გმირების შინაგანი სამყარო და სულიერი მდგომარეობა, მათი პიროვნება, ხასიათი და ბედი საზოგადოების სოციო-კულტურულ კონტექსტში, რის შედეგადაც შეიქმნა ფსქოლოგიურ-სოციალური ხასიათის ნაწარმოებები. პარალელურად შეინიშნება გარდატეხა დასათაურების ხელოვნებაში როგორც სტრუქტურული, ასევე სტილისტურ-სემანტიკური თვალსაზრისით. სათაური გახდა ზუსტი და საქმიანი, საკმარისი და მისაღები აღმოჩნდა ორი-სამი მასტიმულირებელი სიტყვა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეპოქის აჩქარებული ცხოვრების რიტმში ჩართული მკითხველი უარს აცხადებს მრავალსიტყვიან სათაურზე და მოითხოვს მის ლაკონურ ფორმას. მწერლებისთვის ორიენტირი ხდება თეზისი, რომელიც მოგვიანებით ასე ხატოვნად და ლაკონურად ჩამოაყალიბა კრჟიჟანოვსკიმ: „წიგნი ბოლომდე გახსნილი სათაურია, სათაური კი – ორ-სამ სიტყვაში მოქცეული წიგნი“ (კრჟიჟანოვსკი 1931)¹. ანალოგიურ აზრს ავითარებს იულია სვატკო თავის ლინგვოფილოსოფიურ ნაშრომში „სახელი როგორც ტექსტი და ტექსტი როგორც სახელი. აქედან გამომდინარე, უპირატესობა მიეცა ისეთი სათაურების შერჩევას, რომლებიც შეძლებდნენ მთელი ნაწარმოების არსის გამოხატვას ეკონომიურად, მაგრამ მკითხველისთვის დამაინტრიგებელ ფერებში.

შესაბამისად, მე-20 საუკუნის ბრიტანული პროზისათვის დამახასიათებელია ისეთი სათაურების გამოჩენა, რომლებიც მკითხველს სთავაზობენ ნაწარმოების ტრანსფორმირებულ იდეას და ავტორისეულ შეფასებას სიმბოლოებისა და მეტაფორების საშუალებით (ჟენეტი და ქრამპი 1988)².

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის აქტუალური იყო იმის გამოვლენა და გაანალიზება, როგორ ხდება მხატვრული ტექსტის ფარგლებში ლექსიკურ კომპონენტთა ტრან-

¹ Кржижановский С.Д., Поэтика заглавий. Москва., 1931 с27

² Genette G.& B.Crampe., Structure and functions of the Title in Literature//Critical Inquiry, 1988. Vol.14, No.4.pp. 692-720

სფორმირება სიტყვიერ სიმბოლოებად და როგორ ვლინდება ამ გზით წარმოქმნილ სიმბოლურ სათაურთა სემანტიკაში იმ კულტურის ხატი, რომლის „პაროლადაც“ ისინი უნდა ჩაითვალოს.

რამდენადაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს სიმბოლურ სათაურთა კვლევა, იმდენად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვერბალური სიმბოლოს ის ცნება, რომლითაც ის გამოიყენება თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიაში, კერძოდ კი მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციაში. „კულტუროლოგიის დიდ განმარტებით ლექსიკონში“ (2003) კონონენკო სიმბოლოს განმარტავს როგორც კულტურის პაროლს: „სიმბოლო არის კულტურის პაროლი. კულტურა ავლენს საკუთარ თავს იმ სიმბოლოთა სიმრავლით, რომლებიც ხასიათდებიან ინფორმაციული, ემოციური და ექსპრესიული გამოხატულებით. ... კულტურაში არსებობს სიმბოლოთა ის სისტემა, რომელიც გააზრებულ უნდა იქნეს როგორც კულტურის სპეციფიკური კოდი (Большой толковый словарь по культурологии 2003)³.“

ამ იდეას კიდევ უფრო აღრმავებს და განავრცობს ქართველი მკვლევარი ე. ჩიგოგიძე თავის სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ეძღვნება სიმბოლური ნომინაციის კვლევას ჰესეს ზღაპრულ ნარატივში. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სიმბოლოს განხილვა კულტურის პაროლად ნიშნავს მოცემული კულტურის (კულტურული პარადიგმის) წარმოდგენას მის მთლიანობაში“ (ჩიგოგიძე 2005)⁴. კულტურის მთლიანობაში წარმოდგენის ფუნქციას კი ასრულებს მხატვრული ტექსტი და მისი სიმბოლური განზომილება, რა დროსაც საქმე გვაქვს არა სიმბოლიკასთან ამ სიტყვის ზოგადი და უნივერსალური გაგებით, არამედ მის სპეციფიკურ ტიპთან – ვერბალურ მხატვრულ სიმბოლოსთან. მკვლევარი მხატვრული სიმბოლოს სპეციფიკას უკავშირებს მხატვრული ტექსტის იმ სპეციფიკას, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე ესთეტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ვ. ტიუპა: „მხატვრული ცოდნის საგანს წარმოადგენს ადამიანის არსებობის სპეციფიკური მთლიანობა – ‘მე–სამყაროში’, ანუ ეგზისტენცია, როგორც არსებობის სპეციფიკურად ადამიანური ფორმა (გარე სინამდვილეში შინაგანი არსებობა)⁵. მხატვრულობის როგორც ფენომენის ამგვარი გაგება ნათლად მიუთითებს იმ შინაგან კავშირზე, რომელიც ლოგიკურად უნდა არსებობდეს სიმბოლოს ზოგად მნიშვნელობასა და მხატვრული სიმბოლოს მნიშვნელობას შორის. ჩვენთვის ამოსავალია ჩიგოგიძის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ „*სიმბოლოს როგორც ფენომენს მხოლოდ მაშინ უნდა მივაკუთვნოთ მხატვრულობის პრედიკატი (ნიშანი), თუ იგი გამოხატავს/გულისხმობს სამყაროსა და ადამიანის შინაგან ერთიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხატვრული ტექსტის კონტექსტში ტერმინი ‘ანთროპოცენტრიზმი’ უნდა ნიშნავდეს არა უბრალოდ ‘პერსონაჟის შიდა განზომილებაზე’*

³ Кононенко Б.И., Большой толковый словарь по культурологии. 2003. с370

⁴ ჩიგოგიძე ე., სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში (ნეორომანტიკული ზღაპრული ნარატივის მასალაზე). მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწ. უნივერსიტეტი. თბილისი. 2005, გვ.5

⁵ ტიუპას ციტირება ხდება ე. ჩიგოგიძის ნაშრომზე დაყრდნობით – მ. გ.

კონცენტრირებულობას, არამედ იმას, რომ ამ შემთხვევაში სამყარო აღქმულია არა განყენებულად, არამედ ადამიანთან უშუალო და არსებით მიმართებაში (იქვე, გვ. 11–12). სხვანაირად რომ ვთქვათ, მხატვრული სიმბოლო, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ჭეშმარიტი სიმბოლო, გამოხატავს სამყაროს მთლიანურ, ჰოლისტურ აღქმას, რომელიც ხდება ადამიანის „შიდა განზომილების“ პრიზმით.

ე. ჩიგოგიძის ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო კიდეც ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ვერბალური სიმბოლოს დაკავშირება, ერთი მხრივ, ლინგვოსემიოტიკურ თეორიასთან ანუ ნიშნობრიობასთან, მეორე მხრივ კი, სიმბოლოლოგიის ისეთ ზოგად კატეგორიასთან, როგორსაც წარმოადგენს ხატოვნება (იქვე, გვ. 12). ამ დებულებას ავტორი აფუძნებს სიმბოლოს ავერინცევისეულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც ნიშნობრიობა და ხატოვნება წარმოადგენს სიმბოლოს, როგორც ესთეტიკის უნივერსალური კატეგორიის, ძირითად მახასიათებლებს: „სიმბოლო არის ხატი, აღებული თავის ნიშნობრივ ასპექტში, და იგი არის ნიშანი, რომელსაც თან ახლავს მითის მთელი ორგანულობა და ხატის ამოუწურავი მრავალმნიშვნელოვნება.“ მათგან ნიშნობრიობა გულისხმობს სიმბოლოს სემანტიკურობას, ანუ მის შინაარსობრივ ასპექტს, ხოლო ხატოვნება კი გულისხმობს მისი სემანტიკის დანახვას მხატვრულობის პრიზმაში.

მხატვრული ტექსტის აღქმა სპირალურია თავისი არსით და მუდამ წარმოადგენს მკითხველის მენტალური აქტივობის პროსპექტული და რეტროსპექტული ეტაპების სინთეზს (ჟენეტი და მაკლინი 1991)⁶ რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება იმ ქვეტექსტური სემანტიკური ტრანსფორმაციების ადექვატური აღქმა, რომელსაც ეფუძნება ტექსტობრივი სიმბოლიზაციის პროცესი. ეს გზა საწყის, ანუ სიტყვის მხატვრულ დეტალად გარდაქმნის ეტაპზე, მიმართულია ტექსტიდან ქვეტექსტისკენ, ხოლო დეტალის სიმბოლოდ ტრანსფორმირების ეტაპზე კი იგი კვლავ ტექსტისკენ მიემართება და იმგვარად ზემოქმედებს მასზე, რომ იწვევს მთლიანი ტექსტის სრულ სემანტიკურ ტრანსფორმაციას, რაც განაპირობებს კიდეც სიმბოლოდ ქცეული მხატვრული დეტალის სათაურად გამოტანას.

სიმბოლოური სათაურები უაღრესად საინტერესო ქვეტექსტს ქმნიან და მათში მოცემული ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული რეცეფციული გზის გავლის შემდეგ პროსპექტული და რეტროსპექტული მიმართულებით და ამასთანავე, იგი მთლიანად არის დამოკიდებული მკითხველის ინტელექტუალურ დონესა და ინტერპრეტაციული ანალიტიკური აზროვნების უნარზე.

ლიტერატურა:

⁶ Genette G. & Maclean M., Introduction to the Paratext// New Literary History, 1991. Vol. 22 No.2, pp. 261-272

1. **ჩიგოგიძე 2005** – ჩიგოგიძე ე.(2005). სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში (ნეორომანტიკული ზღაპრული ნარატივის მასალაზე). მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწ. უნივერსიტეტი.
2. **ჟენეტი და მაკლინი 1991** – Genette G. & Maclean M.(1991). Introduction to the Paratext// *New Literary History*, Vol. 22 No.2, pp. 261-272 <http://isites.harvard.edu/fs/docs/icb.topic1323630.files/genetteparatext.pdf>
3. **ჟენეტი და ქრამპი 1988** – Genette G.& B.Crampe (1988). Structure and functions of the Title in Literature// *Critical Inquiry*, Vol.14, No.4: 692-720. <http://www.jstor.org/discover/10.2307/1343668?sid=21105418798931&uid=3738048&uid=70&uid=4&uid=2&uid=2134>
4. **კრჟიჟანოვსკი 1931** – Кржижановский С.Д.(1931). Поэтика заглавий. // *Никитинские Субботники*. Москва. http://az.lib.ru/k/krzhizhanowskij_s_d/text_0292.shtml
5. **მეიეროვიჩი 2007** – Meyerovich A.(2007). Title and Concept: The Case of Interrelation. Rehovot,Israel. <https://www.google.ge/Meyerovich+A.Title+and+Concept:+The+Case+of+Interrelation+Rehovot>

Tamar Mardaleishvili, Maia Gabadadze,

The Concept of Symbolic Text in Literary Text

Abstract

The work is aimed at the study of symbolic titles of prosaic works. Having critically generalized the works of Russian philological school named “on the poetics of the titles” and representatives of western narratology and considering all the merits and drawbacks, we have worked out the main functional-semantic and pragmatic characteristics that determine the literary text titles’ status of meaningful unit.

Accordingly, we mostly focus on the notion of a verbal symbol which is used in modern linguoculturology, particularly, in a literary text’s interpretation. The function of presenting culture in whole is performed by the literary text and its symbolic dimension. But it should be noted that symbolism is used not with its general meaning but the specific one such as literary verbal symbol.

Our aim is to show and analyse how the lexical units are transformed into the verbal symbols within the literary text and how the cultural icon is shown in the semantics of symbolic titles and finally, how the semantics of symbolic titles implies the icon of the culture, “password” of which they are considered to be. The titles are studied in connection with the main text, at the same time focusing on its literary-cultural context within which it has been created.

The results of the study via interparadigmatic and interdisciplinary methodology enables us to make conclusion that conceptual nucleus of a literary work is implied contextually in a symbolic title of a text. Consequently, after it passes through the whole context of the text, it gradually becomes the text symbol.